ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2232703

ნომერი: AR1346789

თარიღი : 05.10.2015

გაცემის თარიღი : 08.10.2015

გაცნობის თარიღი : 08.10.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ილია ჭავჭავაძე , N 54 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიული ბურდული პ/ნ 01010018789
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ II მ/რ II კვ. კორ. 11 ბ. 52

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა
  რეკონსტრუქცია
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია წარმოდგენილთაგან N2 ფოტომონტაჟის შესაბამისად, თუმცა შესაბამისი წერილობითი თანხმობის მისაღებად საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:
1. სამღებრო სამუშაოები უნდა განხორციელდეს მხოლოდ სარეკონსტრუქციო ფართის ფასადზე, წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით აღნიშნული სამუშაოები ცდება სარეკონსტრუქციო ფართს, ან ამის შესახებ უნდა განიმარტოს მოთხოვნის ტექსტში. ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად საზოგადოებრივ სივრცეში 2.70 მ-მდე სიმაღლეზე დაუშვებელია შენობის ფასადიდან არქიტექტურული დეტალების ნებისმიერი (თქვენ შემთხვევაში საჩრდილობლის) გადმოწევა 0.30 მ-ზე მეტად, ხოლო ზედაპირიდან 2.70 მ-ზე მეტის შემთხვევაში -- მხოლოდ 1.40 მ-მდე. შესაბამისად მისათითებელია ფასადიდან საჩრდილობლის გამოწევის ზომა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოსადგენია განახლებული ფოტომონტაჟი.
2. ვინაიდან სარეკონსტრუქციო ფართი წარმოადგენს თანასაკუთრებას, წარმოსადგენია თანამესაკუთრეების შპს "სამგორი 2010", შპს "სამგორი რენთი" და შპს "ირინე"-ს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირების თანხმობები, ან აღნიშნული პიროვნებები უნდა დარეგისტრირდნენ თანაგანმცხადებლებად თვენთან ერთად.

გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.